ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი''-ს 2024 წლის ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

02 02- გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა.

ა(ა)იპ „ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი''-ს ძირითადი მიზნებია კეთილმოწყობის სამუშაოების ორგანიზება და წარმოება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე განათების ქსელებისა და ღამის დეკორატიული განათებების რემონტი და მოვლა- პატრონობა, ნერგების (ხე-მცენარეების, დეკორატიული ბუჩქების, მოყვავილე მცენარეების (ერთწლოვანი, მრავალწლოვანი) შეძენა, დარგვა და არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოებზე საფლავების დადგენილი წესით გამოყოფა და მოვლა-პატრონობა, დაინტერესებული პირებისა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა, ცენტრის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამართული მუშაობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების, სანიაღვრე არხების, სანაგვე ურნების მონიტორინგი და არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდება.
ცენტრში ფუნქციონირებს შვიდი განყოფილება. დასაქმებულია 173 თანამშრომელი , აქედან შტატით 166, შტატგარეშე 7 თანამშრომელი.
სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის 2024 წლის მონაცემებით დაქვემდებარებაშია 34 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, აქედან 12 სპეცტექნიკა. სატრანსპორტო საშულებების გამართულად მუშაობისთვის 14 ავტომანქანას ემსახურება ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „სენაავტო", ხოლო დანარჩენ ავტომარქანებს (საგარანტიო და წლოვანება) ემსახურება კომპანიები „ჯი-თი გრუპი", შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი", შპს „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენტი".

სპეცავტოსატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია ყოფილი ჩ/ფაბრიკის შპს გერგეზი-ს ტერიტორიაზე, რომელთანაც გაგვაჩნია იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადგომი და სპეცტექნიკის სამრეცხაო, სადაც დამონტაჟდა წნევით სარეცხი აპარატურა, ტერიტორიაზე მოწყობილია ელექტრო განათება, ასევე ავტოპარკის ტერიტორია კონტროლდება ვიდეო სათვალთვალო კამერებით, რომელსაც ემსახურება შპს „ნანოტეკი". ტერიტორიაზე განთავებულია სპეციალური ოროთახიანი კონტეინერი მძღოლებისათვის. ოთახი აღჭურვილია ინტერნეტით და კონდენციონერით. ინტერნეტის საშუალებით კონტროლი უტარდება ტრანსპორტის გადაადგილებას, რომელსაც უზრუნველყოფს სანავიგაციო სისტემა „MY GPS".

სათანადო ყურადღება ეთმობოდა უსაფრთხოების კუთხით მუშაობას. საანგარიშო წლის განმავლობაში, არ მომხდარა რამე სახის მძღოლების დაზიანების ფაქტი. თვეში ერთხელ მძღოლებს უტარდებოდათ მეცადიონეობა უსაფრთხოიების საკითხებზე. სპეცტექნიკაზე დაყენებულია სპეციალური მოციმციმე მანათობლები.

2024 წლის I-II კვარტალში სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქისა და სოფლის თემში მინი სტადიონების განათებაზე ელ. ენერგიის ეკონომიისა და უსაფრთხოების მიზნით შეიცვალა არსებული 250ვტ-იანი სანათები თანამედროვე მზის ენერგიაზე მომუშავე სანათებით, სულ 40 ცალი, ასევე შხეფის ციხე-გოჯის მინათებაზე არსებული 400ვტ-იანი მინათების პროჟექტორები შეიცვალა ლედ-დიოდური მინათების პროჟექტორებით, სულ 9 ცალი.

2024 წლის სამუშაო პერიოდში სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის თემში გარე განათებაზე გამოიცვალა ლედ.დიოდური სანათი „ჩიპი" 50 ვტ-იანი -240 ცალი, ლედ.დიოდური ნათურა 30 ვტ-იანი -1713 ცალი, ლედ.დიოდური ნათურა 32 ვტ-იანი -655 ცალი, მინათების პროჟექტორები-14.ცალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობაზე და არსებულის ჩანაცვლებაზე გაიხარჯა ელ სადენები: სიპ კაბელი 2X 16 მმ² --830 გ/მ, აპვ 2 X 2,5 მმ² --100 გ/მ, სანქტ პეტერბურგის ქუჩაზე მოეწყო ახალი აღრიცხვის კვანძი. აღრიცხვის კვანძზე შეიცვალა ელ. კარადა სულ 3 ცალი.

ნოემბერ-დეკემბრის თვეებში მიმდინარეობდა საახალწლო აქსესუარების, გირლიანდების მონტაჟი შესაბამის ქუჩებსა და პარკებში.

03 02-ქალაქის მწვანე საფარის შექმნა, არსებულის მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის პროგრამა.

ყოვეწლიურად ხდება გადატეხილი, წაქცეული და დაზიანებული ხეების მოჭრა, დაჭრა და დასაწყობება (სოფლების ჩათვლით), ხეებზე ზედმეტი ამონაყარების მოჭრა, გაწმენდა ხავსებისაგან და მომზადება შესათეთრებლად. მიმდინარეობს ხეების ფორმირება, მძიმე გადაბელვითი სამუშაოები. დასაწყობებული მორების დაჭრა საშეშედ და დარიგება სოციალურად დაუცვლელ ოჯახებზე (განცხადების საფუძველზე). თოვლიან ამიდებში მცენარეების ჩამობერტყვა, ქალაქის ტერიტორიაზე პალმების გასხვლა-ფორმირება, ხეების შეთეთრება ქვა-კირით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადების საფუძველზე შედგენილი აქტების მიხედვით ხეების მოჭრა. ც. პარკებში და სკვერებში შემობარვითი და შემოთოხვნითი სამუშაოები. ქალაქის მთლიან ტერიტორიაზე მოთიბვითი სამუშაოები. ბუჩქების ფორმირება ყოველდღიურად ვახდენდით ახალი დარგული ხე-მცენარეების მორწყვითი სამუშაოებს.

სადგურის ტერიტორიაზე დაირგო 28 ძირი კამელია, 24 ძირი წყავის ჯიშის ბუჩქი, 6 ძირი მაგნოლია. აგავების დარგვა რუსთაველის ქუჩაზე (8 სართულიანი კორპუსის წინ)

03 01-ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუსაოები, ნარჩენების გატანის პროგრამა.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი ცენტრის მეეზოვეების, მუშა-მეეზოვეებისა და მტვირთავების მიერ ხორციელდიებოდა ყოველდღიური საქმიანობა, რაც გამოიხატებოდა ქალაქის ცენტრალური ქუჩებისა და საჯარო სივრცეების (ტროტუარების, პარკების, სკვერების, მოედნების) დაგვასა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავის გატანაში. ყოველდღიურად იგვება 100000 კვ/მ ფართობი. ქალაქში სისუფთავის უკეთ უზრუნველყოფისათვის, დილის დაგვა-დასუფთავების შემდეგ, 4-მუშა-მეეზოვე მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ახდენს დაყრილი ნაგავის შეგროვებას და სისუფთავის დაცვას. გარდა ამისა 6-სპეც ნაგავმზიდითა და 1- თვითმცლელი სატვირთოთი ხდება მყარი მუნიციპალური ნარჩენების გატანა ზუგდიდის ნაგავსაყრელზე. წლის განმავლობაში გატანილია 11020 ტონა მყარი ნარჩენები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 625 ცალი ურნა, მათ შორის ქალაქად 332 ცალი ურნა და სოფლებში კი 283 ცალი ურნა. სულ ათვისებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 80-85%.

2024 წელს გავარემონტეთ 41 ცალი დაზიანებული ურნა. აღნიშნული სამუშაო გაგრძელდება საჭიროების მიხედვით.

გაზაფხულ, ზაფხულსა და შემოდგომის (დასაწყისის) პერიოდში, თვეში 1-ჯერ ვახდენდით სანაგვე ურნების (1,1 კბ/მ მოცულობის) შეწამვლას-დაქლორვას. სატვირთო ნაგავმზიდებისას კი თვეში 2-ჯერ.

2024 წელს დასუფთავების მოსაკრებლიდან (იურიდიული პირები) შემოსულია 10165 ლარი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა განოფილების სპეციალისტები, მონაწილეობას ღებულობდნენ დასუფთავების აქციებში რომელიც ტარდებოდა საერთაშორისო, რესპუბლიკური ან რაიონული მაშტაბით.

03 02-ქალაქის მწვანე საფარის შექმნა, არსებულის მოვლა-პატრონობის და კეთილმოწყობის პროგრამა.

ყოველწლიურად ხორციელდება სანიაღვრე და საწრეტი არხების გაწმენდა მუშახელის მიერ (ჭყონდიდელი, ჭავჭავაძე, რუსთაველი, კოსტავას, წმინდა ნინოს, აკაკი ელიავას, მშვიდობის, აღმაშენებლის ქუჩები). აგრეთვე ყოველდღიურ რეჟიმში მუშების მიერ ხელით ხდება ცხაურები ამოწმენდა.

ყოველწლიურად ხდება სანიაღვრე არხების, ხიდბოგირების გაწმენდითი სამუშაოები ექსკავატორით. თითქმის ყველა სოფლების ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხები ამოიწმინდა ტექნიკის ეშვეობით ექსკავატორით. მოშანდაკდა გრეიდერით შიდა სასოფლო გზები ხორშის, ზანას, ფოცხოს, უშაფათის, ზემო წალადიდის და ეკის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სულ ექსკავატორით 4100 გრ/მეტრი სანიაღვრე არხი გაიწმინდა და გრეიდერით მოშანდაკდა შიდა სასოფლო გზები 209000 გრ/მეტრი. ქალაქის ცენტრალური ნაწილში არსებულ საპარკე სკამებზე შეიცვალა ხის ძელაკები, შეიღება და დამატებით მოეწყო სკამები ღვინჯილიას ქუჩაზე დევნილთა ჩასახლებაში. შეკეთდა ფეხით სავალ ბილიკზე დაზიანებული ბეტონის ფილები რუსთაველის, ჭავჭავაძის, წმინდა ნინოს და კოსტავას ქუჩებში

02 07- სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამა

2024 წელს რეგისტრაციაში გავატარეთ და საჭირო დოკუმენტაცია შევადგინეთ 141დ/პირზე, მ/შორის მიწა გამოეყო 55 დ/პირს და რეგისტრაციაში გატარდა 86 დაინტერესებულ პირი , შემოსულმა თანხამ მ/წელს შეადგინა -17955 ლარი.

თეკლათის სასაფლაოზე შესრულდა სასაფლაოს შემოსასვლელი წინხედის მოხრეშვა-მოშანდაკება, გარკვეულ მონაკვეთზე გაიწმინდა არხი ეკალ-ბარდებისაგან, შესრულდა თეკლათის სასაფლაოზე შემოღობვითი სამუშაოები. **მენჯის** სასაფლაოზე შეიღება შესასვლელი რკინის კარები და შესრულდა სამანქანო გზის მოშანდაკებითი სამუშაოები, ამოიწმიდა არხი. შესრულდა აგრეთვე შემოღობითვი სამუშაოები.

შხეფის სასაფლაოზე გაიშალა სასაფლაოებს შორის მიწის გორაკები. გაიწმიდა შესასვლელი გზის წინა ფასადი სამშენებლო მასალის ნარჩენებისგან. შესრულდა შხეფის სასაფლაოზე შემოღობითვი სამუშაოები.

საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე შემოსული წერილის საფუძველზე გაკეთდა მოქალაქე თ.ხურცილავას საოჯახო საფლავზე ასასვლელი კიბეები. **ძმათა** სასაფლაოზე შემოღობითვი სამუშაოები შესრულებულია.

ნოსირის სასაფლაოზე შემოსული წერილის საფუძველზე შესრულდა სანიაღვრე არხის მოწესრიგების სამუშოები შესაბამისი ტექნიკის დახმარებით.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობის განყოფილებაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შემოსული წერილის საფუძველზე , შესრულდა ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ებრაელთა სასაფლაოს და სინაგოგის შიდა ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები.

სასაფლაოს მოვლა-პატრონობაზე გაიხარჯა 35274 ლარი. მიმდინარე რემონტისათვის-- 32000 ლარი.

ყველა სასაფლაოებზე მიმდინარეობდა დაგვა-დასუფთავების, შეწამლის და დაზიანებული ხეების ტოტებისაგან გაწმენდა--- გადაბელვითი სამუშაოებისასაფლაოების მოვლა-

პატრონობის განყოფილებაში დასაქმებულია მ/წელს 144 ბენეფიციარი . ბენეფიციარების მიერ რამდენიმე ეტაპად გაიცელა-გაიწმინდა 102 სასაფლაოს ტერიტორია.